საგაზეთო ჩანართი
ინტელექტი
ჩემი არჩევანი - რეალური თვითმმართველობა
№7 / 2014

# მაჟორიტარი კანდიდატები ერთად, ამომრჩევლების წინაშე

წინასაარჩევნო პერიოდში არჩევნებში მონაწილე კანდიდატების ამომრჩევლებთან შეხვედრა არახალია, მაგრამ შეხვედრები, რომლებიც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის" ორგანიზებით მოეწყო, ნამდვილად არ ჰგავდა ტრადიციულს. „ინტელექტმა" აჭარის რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი) თემების უმრავლესობაში წინასაარჩევნო შეხვედრები ჩაატარა და კვლავ აგრძელებს. არჩევნებამდე სხვადასხვა პარტიული და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატები ერთად აჭარის მუნიციპალიტეტების ყველა თემის ამომრჩევლებს შეხვდებიან.



მაჟორიტარობის კანდიდატების ამომრჩევლებთან შეხვედრებს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი" ევროკავშირის მხარდაჭერით პროექტის – „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის" ფარგლებში ახორციელებს. შეხვედრების ორგანიზებაში აქტიურად არიან ჩართული საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც თემებში ადგილობრივმა განმანათლებლებმა საგანმანათლებლო შეხვედრების დროს ჩამოაყალიბეს. ფუნქციები გადანაწილებულია: შეხვედრის ადგილსა და მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებას კანდიდატებთან შეხვედრასთან დაკავშირებით თემში საინიციატივო ჯგუფი ასრულებს; ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი" კი მაჟორიტარობის კანდიდატებს სთავაზობს ოპონენტებთან ერთად შეხვდეს ამომრჩეველს და საკუთარ უპირატესობაში დაარწმუნოს ისინი.

მაჟორიტარ კანდიდატებთან შეხვედრა დებატებით მიმდინარეობს. თითოეული კანდიდატი ამომრჩევლის წინაშე საკუთარი წინასაარჩევნო პროგრამით წარსდგება. ამომრჩეველს აქვს საშუალება კითხვები დაუსვას კანდიდატებს და პასუხი მიიღოს მისთვის საინტერესო საკითხზე.

მაჟორიტარი კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამა ერთმანეთისგან განსხვავებულია. მაგალითად, ერთიანი ოპოზიცია ამომრჩევლებს რუსეთთან ურთიერთობების ჩამოყალიბებას და რუსულ ბაზარზე ქართული ციტრუსის გატანას ჰპირდება; „საქართველოს გზა" აპირებს ისეთი ტექნოლოგიების დანერგვას, რომლის საშუალებითაც გლეხი პირუტყვის საკვებად ბალახს მოიყვანს. მათი თქმით გლეხს დღეს ერთი ძროხის შენახვა დღეში 7 ლარი უჯდება, ახალი ტექნოლოგიის დანერგვის შემთხვევაში კი 2 ლარი დაუჯდება. გარდა ამისა „საქართველოს გზა„ ადგილობრივ თვითმმართველობაში მოსვლის შემთხვევაში ვერტიკალური სათბურების დანერგვასაც გეგმავს, სადაც მათი გათვლებით 3 კვადრატ მიწაზე შესაძლებელი იქნება 800 კილოგრამი მარწყვის მოყვანა. „ლეიბორისტული პარტიის" წარმომადგენლები იღებენ ვალდებულებას, რომ უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოლებენ და საამისო მაგალითებიც მოჰყავთ; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ორთაბათუმის თემში მერაბ ძნელაძე პენსიონერებსა და პედაგოგებს პენსიისა და ხელფასის გაზრდას ჰპირდება. იგი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის პენსიონერი ამომრჩევლებისათვის პენსიაზე 20 ლარის დამატებას გეგმავს. როგორც „ინტელექტთან" საუბარში აღნიშნა ძნელაძემ, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შექმნილია შტატების დიდი რაოდენობა, რომლებსაც არანაირი დანიშნულება არ აქვს და ბიუჯეტიდან თანხა ხელფასებზე ტყუილად იხარჯება. ჩვენ ამ შტატებს გავაუქმებთ და თანხას, რომლითაც აღნიშნულ შტატებზე დასაქმებულები ხელფასს იღებენ დღეს, პენსიაზე გადავანაწილებთ."

მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ „ინტელექტის" მიერ ორგანიზებული წინასაარჩევნო შეხვედრები სწორი არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება. „მსგავსი ტიპის შეხვედრები მოსახლეობასთან ძალიან კარგია. ცალ-ცალკე რომ მოდიან, ყველა თავისას ამბობს და თანაც ისე, რომ გარწმუნებს ჩემზე მაგარი არც ერთი არ არისო. როცა ერთად მოდიან ჩვენთან შესახვედრად, ერთმანეთს კომპრომატებს უყენებენ. ეს საშუალებას გვაძლევს, ცოტა ღრმად ჩავუკვირდეთ მათ ნათქვამ თითოეულ სიტყვას, თითოეულ დანაპირებს. ასეთი დებატები საშუალებას გვაძლევს, სწორი არჩევანი გავაკეთოთ და ხმა მივცეთ იმას, ვინც ნამდვილად იცის თავისი საქმე და უფლებამოსილება, ვინც დაგვანახებს, რომ ღირსია იყოს ჩვენი თემის მაჟორიტარი! არ უნდა მოხდეს მოსახლეობის მოტყუება ცრუ დაპირებებით," – ამბობს ხელვაჩაურელი რუსლან ვერძაძე.

ხულოს მუნიციპალიტეტის სხალთის თემის ამომრჩეველია გენადი შაინიძე. იგი ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის" მიერ ორგანიზებულ მაჟორიტარობის კანდიდატებთან შეხვედრას სხალთის თემის სოფელ წაბლანაში ესწრებოდა. ამომრჩევლის წინაშე ოთხი („ქართული ოცნება", ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, „არასაპარლამენტო ოპოზიცია, ერთიანი ოპოზიცია) მაჟორიტარი კანდიდატი წარსდგა თავისი წინასაარჩევნო პროგრამით და შეეცადა ამომრჩეველი დაერწმუნებინა 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მხარი დაუჭირონ. ბატონმა გენადმა თითოეულ მათგანს დიდი ინტერესით მოუსმინა და განაცხადა: „კარგი იყო, ეს შეხვედრა რომ შედგა, ბევრი ისეთი რამ გავიგე, რაც აქამდე არ ვიცოდი, მაგრამ ჩემს არჩევანზე არ უმოქმედია. გადაწყვეტილება მაშინ მივიღე, როგორც კი ინფორმაცია გავრცელდა სოფელში სავარაუდო მაჟორიტარი კანდიდატების შესახებ. დღევანდელმა შეხვედრამ ჩემი არჩევანი არგუმენტებით გაამყარა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს". ვინც სოფელს საქმეს გაუკეთებს, სოფლის ტკივილს გულთან მიიტანს, ხალხის პრობლემას – საკრებულოში, სოფელი იმას დაუჭერს მხარს.".

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ჭარნალის თემი ახლახან ჩამოყალიბდა. რადგან 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, როგორც სოფელი ჭარნალი თხილნარის თემში შედიოდა, შესაბამისად მაჟორიტარობას თხილნარის კანდიდატი გაუწევს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატად კენჭს იყრის ადგილობრივი პედაგოგი ლევან თავართქილაძე. იგი მოსახლეობას მოუწოდეს ხმა ჭარნალელს მისცენ, რადგან „გვყავდა თხილნარელი მაჟორიტარი, რომელსაც არც ჩვენთვის და არც თხილნარის მოსახლეობისათვის არაფერი გაუკეთებია. აქაური ადვილად გაიგებს თქვენს სატკივარს. მე თუ მხარს დამიჭერთ არჩევნებზე, საკუთარი სახლის აივნიდანაც შეძლებთ დამიძახოთ, როცა დაგჭირდებით".

ზვიად ველიაძე, შუახევის მუნიციპალიტეტიდან: „თქვენი ორგანიზაციის წამოწყება საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში არსებული ბურუსის გარღვევად მიმაჩნია. გამოდის, რომ არის შანსი მომავალში სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები საზოგადოებას ერთობლივად შეხვდნენ და ერთმანეთში დებატების, საქმიანი მტიკიცებულებების, იდეების, ერთმანეთისადმი პატივისცემისა და წარსული შეცდომების გამო ბოდიშის საფუძველზე მისცენ ამომრჩევლებს არჩევანის თავისუფლება! საინტერესოა სინამდვილეში რის გაკეთებას ვაპირებთ! ვილაცებმა ეს ზუსტად ვიცით და ვილაცებმა არაფერი ვიცით... ,,ინტელექტის" ეს იდეა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ მუნიციპალიტეტების დონეზე პირველი პრეცედენტია „დემოკრატიის", რომელმაც არ იცის ბიძაშვილი, დეიდაშვილი, ნაცნობი ან კლასელი."

ნუგზარ კეკელიძე, მაჟორიტარი კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრების მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი: „ინტელექტმა" პროექტის – „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის" ფარგლებში დაიწყო და აგრძელებს საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრების ჩატარებას. ამ შეხვედრების მიზანია ხელი შევუწყოთ წინასაარჩევნო პროცესების გამჭვირვალობის ამაღლებას, საკრებულოს მაჟორიტარი წევრობის კანდიდატების პასუხისმგებლობის გაძლიერებას მოსახლეობის წინაშე, მათი ხედვებისა და საარჩევნო პროგრამების გაცნობას. უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრების პირველ ეტაპზე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების უმრავლესობას უჭირდა მოსახლეობისთვის სრულფასოვანი წინასაარჩევნო პროგრამების წარდგენა, რის გამოც მივიღეთ გადაწყვეტილება აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტში ჩაგვეტარებინა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისთვის ტრენინგი. ტრენინგზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ახალ კანონს, საქართველოს საარჩევნო კოდექსს, კანდიდატების საჯაროდ გამოსვლის ხელოვნებისა და წინასაარჩევნო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის საკითხებს. ტრენინგის შემდგომ ჩატარებული შეხვედრების მონიტორინგმა დაგვანახა, რომ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები გაცილებით უკეთესი პროგრამებით გამოდიოდნენ ამომრჩევლების წინაშე."

# ტრენინგი მაჟორიტარი კანდიდატებისთვის

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა" პროექტის – „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის" ფარგლებში 2014 წლის 15 ივნისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე მაჟორიტარ კანდიდატებს ტრენინგი ჩაუტარა. კანდიდატებს ტრენინგზე საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ახალ კანონს და საქართველოს საარჩევნო კოდექსს. გარდა ამისა, მსმენელებმა მიიღეს გარკვეული საბაზისო ცოდნა საჯაროდ გამოსვლის ხელოვნებასა და წინასაარჩევნო პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ.



ტრენინგებს კვალიფიციური ტრენერები: ლევან გობაძე (საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი") და გენო გელაძე (განათლების დოქტორი, დემოკრატიის ინსტიტუტი) ატარებდნენ.

„ტრენინგზე ბევრი სასარგებლო რამ ვისწავლეთ, რაც დაგვეხმარება წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებაში და გამარჯვების შემთხვევაში უკვე საკრებულოში მუშაობისას. ვფიქრობთ, აქ მიღებული ცოდნა მაქსიმალურად გამოვიყენოთ, დავხვეწოთ ჩვენი საარჩევნო პროგრამა კომპეტენციის ფარგლებში და ამომრჩეველს იმედები არ გავუცრუოთ," – თქვეს ტრენინგის მონაწილეებმა.

ტრენინგი აჭარის რეგიონის ხუთივე (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი) მუნიციპალიტეტში ჩატარდა.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი".
ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის
ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „თემები
დემოკრატიული არჩევნებისთვის" ფარგლებში.
ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება
არ ემთხვეოდეს ევროკავშირის
ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე

მისამართი: ბათუმი, ალმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 24-16-40, ფაქსი: 24-16-50
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge